585 | 3
1938

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 აგვისტო 1938 წ.

შინაარსი:

I. კანონები, მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ

კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 14, 19, 50, 55, 72, 81, 102 და 104 მუხლების ცვლილებისა და დამატების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ მთავრობის—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შექმნის შესახებ

კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

II. დადგენილებანი, მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს I-ლ სესიაზე

III. ბრძანებულებანი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელწყაროს რაიონმასკომის ორგბიუროს შექმნის შესახებ

IV. ინფორმაციული მასალები და წერილები

საქართველოს სსრ კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის ცვლილებისა და დამატების შესახებ

დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სსრ უმაღლესი საბჭოს სესიების შესახებ

29/14 849
218

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. კანონები, მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ

კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 14, 19, 50, 55, 72, 81, 102 და 104 მუხლების ცვლილებისა და დამატების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-14 მუხლის პუნქტი „ე" მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ე) აწესებს რაიონებისა, სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების საზღვრებს და ჰქმნის ახალ სარაიონო, სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოებს".

2. შეიქმნას სიღნაღის რაიონისაგან **წითელწყაროს** რაიონი შემდეგი სასოფლო საბჭოების შემადგენლობით: **წითელწყაროს**, ქვემო-ქედის, ზემო-ქედის, წითელ-საბათლოს, მირზაანის, არბოშიკის, ზემო-მაჩხაანის და ძველი ანაგისა ცენტრით სოფ. **წითელწყაროში** და **სიღნაღის** რაიონი შემდეგი სასოფლო საბჭოების შემადგენლობით: სიღნაღის, ანაგის, ვაქირის, საქობოს, ბოდბის-ხევის, ქვემო-მაჩხაანის, ჯუგაანის, ტიბაანის, ნუკრიანის, მაღაროს, ბოდბის და ულიანოვკისა ცენტრით ქალაქ **სიღნაღში**.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-19 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგნაირად:

„19. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან; აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, აღბულაღის, ახალქალაქის, ახალციხის, ბაღდადის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჩალოს, ბორჯომის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ვანის, ზემო-სვანეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თბილისის, თელავის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლუქსემბურგის, მახარაძის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, ტყიბულის, ქვემო-სვანეთის, ქუთაისის, ყაზბეგის, ყარაიას, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, წულუკიძის, ჭიათურის, ხაშურის, ხობის რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისის და ფოთისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან.

3. სსრ კავშირის კონსტიტუციის 70, 77 და 83 მუხლების შეცვლის შესაბამისად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 მუხლიდან ამოიშალოს სიტყვები— „დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული“. სიტყვა „შინავაჭრობის“ შეიცვალოს სიტყვით „ვაჭრობის“.

4. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-50 მუხლის შეცვლის შესაბამისად:

მუხლში 72 სიტყვები „დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული“ შეიცვალოს სიტყვებით „დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული“.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55, 72, 81, 102 და 104 მუხლებში სიტყვა „შინა-ვაჭრობის“—შეიცვალოს სიტყვით „ვაჭრობის“.

5. საქართველოს სსრ კონსტიტუციის ქართული ტექსტის 14 მუხლში პუნქტი „დ“ და „ვ“; 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35 მუხლებში; 36 მუხლში პუნქტები „ა“, „ე“; მუხლებში 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 45, 50, 51, 57, 59, 60, 61; მუხლში 62 პუნქტები „ა“, „ბ“; მუხლებში 63, 64, 65, 66, 67, 69, 72, 102, 103, 112, 113, 114, 115, 117, 119, 120, 121, 147, 152, 157, 158 და 162 სიტყვა „უზენაესი“ შეიცვალოს სიტყვით „უმაღლესი“.—

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1938 წლის 9 ივლისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **დ გ ე ნ ს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არჩეულ იქნას შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე—

1. **მახარაძე** ფილიპე იესეს-ძე—დეპუტატი ჩოხატაურის რაიონის ჩოხატაურის საარჩევნო ოლქიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები;

2. **დელბა** მიხეილ კონსტანტინეს-ძე—დეპუტატი აფხაზეთის ასსრ ტამიშის საარჩევნო ოლქიდან;

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. **ლავითაძე** დაუთ ალის-ძე—დეპუტატი აჭარის ასსრ ხულოს საარჩევნო ოლქიდან;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი—

4. **ეგნატაშვილი** ვასილ იაკობის-ძე—დეპუტატი გორის რაიონის შინდისის საარჩევნო ოლქიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები:

5. **ბაზანდარაშვილი** სოფიო გიორგის ასული—დეპუტატი გორის რაიონის სასოფლო საარჩევნო ოლქიდან;

6. **ბერია** ლავრენტი პავლეს-ძე—დეპუტატი ქალაქ თბილისის „პრავდის" სახელობის საარჩევნო ოლქიდან;

7. **გვიშიანი** მიხეილ მაქსიმეს-ძე—დეპუტატი ქალაქ თბილისის ენგელსის საარჩევნო ოლქიდან;

8. **ჯაფარიძეშვილი** ივანე ალექსანდრეს-ძე—დეპუტატი თბილისის სტუდენტთა საარჩევნო ოლქიდან;

9. **ჯორგენაძე** ანტონ ვასილის-ძე—დეპუტატი გურჯაანის რაიონის გურჯაანის საქალაქო საარჩევნო ოლქიდან;

10. **მაზიაშვილი** ვლადიმერ მიხეილის-ძე—დეპუტატი სიღნაღის რაიონის ზემო-მაჩხაანის საარჩევნო ოლქიდან;

11. **ნარსია** გრიგოლ იესეს-ძე—დეპუტატი ქუთაისის რაიონის ნახშირღელის საარჩევნო ოლქიდან;

12. **ოვსიანი** შუშანიკ ოჰანეზის-ასული—დეპუტატი ახალქალაქის რაიონის ბარალეთის საარჩევნო ოლქიდან;

13. **საჯაია** გურია ნიკოლოზის-ძე—დეპუტატი ზუგდიდის რაიონის დარჩელის საარჩევნო ოლქიდან;

14. **ტიულენევი** ივანე ვლადიმერის-ძე—დეპუტატი ქალაქ თბილისის წითელარმიული საარჩევნო ოლქიდან;

15. **ხუბაევი** ვლადიმერ ივანეს-ძე—დეპუტატი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის სასოფლო საარჩევნო ოლქიდან;

16. **ჩარკვიანი** კანდიდ ნესტორეს-ძე—დეპუტატი ცაგერის რაიონის ცაგერის საარჩევნო ოლქიდან;

17. **ჭანწუვაძე** შოთა ილარიონის-ძე—დეპუტატი ქუთაისის რაიონის ოფურჩხეთის საარჩევნო ოლქიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1938 წლის 10 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს: შეიქმნას საქართველოს სსრ მთავრობა—საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები:

ვლადიმერ გიორგის-ძე დეკანოზოვი.

გიორგი თედორეს-ძე ხტურუა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე—**კონსტანტინე მიხეილის-ძე თარგამაძე.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი—**სერგო არსენის-ძე გოგლიძე.**

კვების მრეწველობის სახალხო კომისარი—**ვლადიმერ გიორგის-ძე დეკანოზოვი.**

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი—**ლონგინოზ ალექსანდრეს-ძე რუხაძე.**

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარი—**ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი.**

მიწათმოქმედების სახალხო კომისარი—**სიმონ გიორგის-ძე ხოშტარია.**

ფინანსთა სახალხო კომისარი—**კონდრატი სოკრატის-ძე ციმაკურიძე.**

ვაჭრობის სახალხო კომისარი—**სერგო მიხეილის-ძე დონაძე.**

იუსტიციის სახალხო კომისარი—**ათანასე ლევანის-ძე ჩხეტიანი.**

ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი—**ონისიმე გერმანეს-ძე ჟოდაძე.**

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი—**გიორგი მიხეილის-ძე ბორდეზიანი.**

განათლების სახალხო კომისარი—**გიორგი ივანეს-ძე კიკნაძე.**

კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი—**ვახტანგ ალექსანდრეს-ძე ლოლაძე.**

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი—**გიორგი ივანეს-ძე ელისაბედაშვილი.**

დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული—**ამბროსი მიხეილის-ძე ჭოლოკავა.**

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული—**იაკობ ზოსიმეს-ძე მონიავა.**

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული—**რაფიელ სიმონის-ძე ელიგულაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი—**ბენიამინ ვასილის-ძე გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1938 წლის 11 ივლისი.

კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დაწესდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ყოველთვიურად 500 მანეთის რაოდენობით თვითეულისათვის.

ეს დადგენილება არ ვრცელდება იმ დეპუტატზე, რომელიც ერთდაიმავე დროს არის როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ისე სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატიც.

2. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის პერიოდში დეპუტატთა ხარჯების ასანაზღაურებლად დაწესდეს ღღიურები 75 მანეთის რაოდენობით.

3. დაწესდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის მუდმივი ბილეთები საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში რკინიგზასა და წყალსასვლელ გზებზე უფასოდ მოგზაურობის უფლებით.

4. გათვალისწინებულ იქნას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხარჯთაღრიცხვით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეთა განკარგულებაში წელიწადში 100 ათასი მანეთის გაცემა დეპუტატებთან ურთიერთობისა და საწარმომადგენლო ხარჯებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1938 წლის 10 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II. დადგენილებანი, მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1-ლ სესიაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 31 მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ამხანაგი **კოჭლამაზაშვილი** იოსებ დიმიტრის-ძე—დეპუტატი გურჯაანის რაიონის არაშენდის საარჩევნო ოლქიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 31 მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნან ამხანაგები—**შაშიკაშვილი** ნევრესტ რეჯების ასული—დეპუტატი აჭარის ასსრ ქობულეთის ოლქიდან და **ჯგუბურია** გიორგი გუჯას-ძე—დეპუტატი აფხაზეთის ასსრ აჩიგვარის ოლქიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 37 მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შესამოწმებლად არჩეულ იქნას სამანდატო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე **ჯაში** მაკარ ივანეს-ძე—დეპუტატი ქ. თბილისის ნავთლუღის ოლქიდან.

წევრები:

სანაკოევი სერგო ნიკოლოზის-ძე—დეპუტატი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის ოლქიდან;

ფაღავა მამედ ემინეს-ძე—დეპუტატი აჭარის ასსრ ბათუმის—სტალინის ოლქიდან;

საჯაია გურია ნიკოლოზის-ძე—დეპუტატი ზუგდიდის რაიონის დარჩელის ოლქიდან;

ქარდავა ცაცა ანტონის ასული—დეპუტატი აფხაზეთის ასსრ მოქვის ოლქიდან;

ჯანელიძე ალექსანდრე ილარიონის-ძე—დეპუტატი ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს ოლქიდან;

საქართველო...
პარლ...
ე...
ბიბლიოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბაშენაშვილი ნინა სიმონის ასული—დეპუტატი ქ. თბილისის—ჩელუსკინელების ოლქიდან;

აბალაკი კონსტანტინე პავლეს-ძე—დეპუტატი გორის რაიონის მეჯვრისხევის ოლქიდან;

გუმბათოშვი გუმბათ ნასიბ-ოღლი—დეპუტატი ყარაიას რაიონის ყარაიას ოლქიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების არჩევის შესახებ

საკანონმდებლო განზრახულებათა კომისია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო **ადგენს**:

საკანონმდებლო განზრახულებათა კომისია არჩეულ იქნას 9 კაცის რაოდენობით შემდეგ დეპუტატთა შემადგენლობით:

1. კომისიის თავმჯდომარე რაფიელ არტემის-ძე **ქვირკველია**—დეპუტატი გეგეჭკორის რაიონის თამაკონის საარჩევნო ოლქიდან.

წევრები:

2. ვლადიმერ ივანეს-ძე **ხუბაევი**—დეპუტატი სამხრეთ-ოსეთის სტალინირის სასოფლო საარჩევნო ოლქიდან;

3. ნიკოლოზ პეტრეს-ძე **სარქისოვი**—დეპუტატი ახალქალაქის რაიონის ოკამის საარჩევნო ოლქიდან;

4. დაუთ ალის-ძე **დავითაძე**—დეპუტატი აჭარის ასსრ ხულოს საარჩევნო ოლქიდან;

5. ილარიონ ნარიქის-ძე **გუანია**—დეპუტატი აფხაზეთის ასსრ გულრიპშის საარჩევნო ოლქიდან;

6. ივანე ალექსანდრეს-ძე **ჯაბახიშვილი**—დეპუტატი ქალაქ თბილისის სტუდენტთა საარჩევნო ოლქიდან;

7. ვასილ დიმიტრის-ძე **გუჯიაშვილი**—დეპუტატი ლაგოდეხის რაიონის-ვარდისუბნის საარჩევნო ოლქიდან;

8. კალისტრატე ალექსანდრეს-ძე **ფალავა**—დეპუტატი გეგეჭკორის რაიონის ბანის საარჩევნო ოლქიდან;

9. სოფიო სოლომონის ასული **მიქაბერიძე**—დეპუტატი, ქალაქ თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქიდან.

საბიუჯეტო კომისია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო **ადგენს**:

საბიუჯეტო კომისია არჩეულ იქნას 11 კაცის რაოდენობით შემდეგ დეპუტატთა შემადგენლობით;

1. კომისიის თავმჯდომარე მიხეილ მაქსიმეს-ძე **გვიშიანი**—დეპუტატი ქალაქ თბილისის ენგელსის ოლქიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრები:

2. ივანე ალექსის-ძე **დევსურაშვილი**—დეპუტატი ქალაქ თბილისის ვოროშილოვის ოლქიდან;

3. მეხრალი **ბასანოვი**—დეპუტატი ლუქსემბურგის რაიონის იმირ ასანის ოლქიდან;

4. ანტონ ვასილის-ძე **ჯოგანიძე**—დეპუტატი გურჯაანის საქალაქო ოლქიდან;

5. დავით ზაქარიას-ძე **ციბეკიძე**—დეპუტატი თელავის რაიონის ზემოალვანის ოლქიდან;

6. შუქრი ქემალის-ძე **შარაშიძე**—დეპუტატი აჭარის ასსრ შუახევის ოლქიდან;

7. ლუბა ტიხონის ასული **ტკაჩენკო**—დეპუტატი ქალაქ თბილისის ტელმანის ოლქიდან;

8. ნიკოლოზ ანტონის-ძე **ჯინჭარაძე**—დეპუტატი ქუთაისის ვოროშილოვის ოლქიდან;

9. დიმიტრი პეტრეს-ძე **ბაბაიანი**—დეპუტატი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის ოლქიდან;

10. კონსტანტინე სიმონის-ძე **ცეკავა**—დეპუტატი აფხაზეთის ასსრ სოხუმის ლენინის ოლქიდან;

11. სოფიო გიორგის ასული **ბაზანდარაშვილი**—დეპუტატი გორის სასოფლო ოლქიდან.

სამანდატო კომისიის მოხსენების გამო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყველა 237 საარჩევნო ოლქში არჩეულ და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრაციაში გატარებულ დეპუტატთა რწმუნების სწორად ცნობის შესახებ.

2. დამთავრებულად ჩითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. ბაქრაძის განცხადების გამო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ნდობას უცხადებს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და ავალებს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ვალერიან მინას-ძე ბაქრაძეს წარმოადგინოს წინადადება მთავრობის შემადგენლობის შესახებ, ამასთან მხედველობაში მიიღოს დეპუტატების მიერ კამათის დროს გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელ-წყაროს რაიაღმასკომის ორგბიუროს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 14,19,50,55,72, 81, 102 და 104 მუხლების ცვლილებისა და დამატების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებული კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად,—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას წითელწყაროს რაიაღმასკომის ორგბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. ჯაბაშვილი ბ. გ. (ორგბიუროს თავმჯდომარე), ნადირაშვილი რ. მ. (რაიმიწგანის გამგე), სარქისოვი ვ. გ. (რაიფინგანის გამგე), პეტრენკო მ. ი. (რაიონული კომუნალური განყოფილების გამგე) და ბერიშვილი ქ. ა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1938 წლის 7 აგვისტოს.

IV. საინფორმაციო ცნობები და სტატიები

ს ტ ა ტ ი ე ბ ი

საქართველოს სსრ კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის ცვლილებისა და დამატების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ 1938 წლის ივლისის პირველ სესიაზე, კონსტიტუციით გათვალისწინებული წესით, მიიღო კანონი საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

სესიამ გაამახვილა ყურადღება ჩვენი კონსტიტუციის მე-14 მუხლის პუნქტის „ე“-ს მიმართ. ამ მუხლის მეტი სისრულისა და სიზუსტისათვის შეტანილ იქნა ცვლილებანი, რომელთა თანახმად საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო „აწესებს რაიონებისა, სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების საზღვრებს და ჰქმნის ახალ სარაიონო, სასოფლო, სადაბო, და საქალაქო საბჭო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებს". ამ პუნქტის ასეთ დაზუსტებას მეტი გარკვეულობა შეაქვს კონსტიტუციაში საქალაქო, სარაიონო, სადაბო და სასოფლო საბჭოების შექმნისა და საზღვრების მოწყობის მხრივ.

საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის მე-14 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ დაამტკიცა სიღნაღის რაიონიდან ორი რაიონის შექმნა:

სიღნაღის რაიონი შემდეგი სასოფლო საბჭოების შემადგენლობით: სიღნაღის, ანაგის, ვაქირის, საქობოს, ბოდბის-ხეევის, ქვემო-მაჩხაანის, ჯუგაანის, ტიბაანის, ნუკრიანის, მაღაროს, ბოდბის და ულიანოვკისა ცენტრით ქალაქ სიღნაღში.

წითელწყაროს რაიონი შემდეგი სასოფლო საბჭოების შემადგენლობით: **წითელწყაროს**, ქვემო-ქედის, ზემო-ქედის, წითელ-საბათლოს, მირზაანის, არბოშიკის, ზემო-მაჩხაანის და ძველი ანაგისა ცენტრით სოფ. წითელწყაროში.

სიღნაღის რაიონის ორ რაიონად გაყოფისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით, რომ სამეურნეო, ეკონომიური და კულტურული განვითარების სწრაფ ტემპებსა და საკოლმეურნეო წყობილების გამაგრჯვებას მოჰყვა სიღნაღის რაიონის სახის ძირფესვიანად შეცვლა. ამ რაიონში განვითარდა ნავთის მრეწველობა, მევენახეობა, მეთამბაქოობა და სოფლის მეურნეობის სხვა სახის კულტურები, აღორძინდა და განმტკიცდა კოლეტიური მეურნეობა. ამიტომ საჭირო იყო სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დაახლოებება მოსახლეობასთან და საწარმოო ობიექტებთან. **წითელწყაროს** რაიონში შევიდა 8 სასოფლო საბჭო, 28.487 სული მოსახლეობით, 30 კოლმეურნეობით, 2 საბჭოთა მეურნეობით და ერთი სამანქანო-სატრაქტორო სადგურით. ამ რაიონში არის 260.922,5 ჰექტარი ფართობი, აქედან: სახნავი 34.891 ჰექტ. და, რაც მთავარია, ამ რაიონში არის შირაქის ნავთის წარმოება. **წითელწყაროს** რაიონი საქართველოში ერთერთ მძლავრ რაიონს წარმოადგენს და მას დიდი პერსპექტივა აქვს ნავთის მრეწველობის განვითარების საქმეში. სწორედ ამიტომ სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მოწყობა ამ რაიონში და ახალი რაიონის შექმნა დაეჩქარებს მის ყოველმხრივ განვითარებას.

დამზადებათა საერთო—საკავშირო სახალხო კომისარიატის შექმნის შესაბამისად, შეტანილ იქმნა ცვლილება საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის 50 მუხლში. ამ მუხლში ამოიშალა სიტყვები „დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული", ხოლო კონსტიტუციის 72 მუხლში „დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის" ნაცვლად ჩაიწერა—„დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული", ე.ი. როგორც საქართველოს სსრ-ში, ისე აფხაზეთისა და აჭარის ავტ. სსრ-სა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში იქმნება დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის თანამდებობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ შეცვლილია შინაგაჭრობის სახალხო კომისარიატის სახელწოდება და დაწესებულია ახალი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელწოდება—„ვაჭრობის სახალხო კომისარიატი". ამიტომ ამოიშალა სიტყვა „შინა" და დარჩა „ვაჭრობის სახალხო კომისარიატი". აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის 50, 55, 72, 102 და 104 მუხლებში სიტყვები „შინა ვაჭრობისა", შეიცვალა სიტყვებით „ვაჭრობისა", ე.ი. საქართველოს სსრ-ში, აფხაზეთისა და აჭარის ავტ. სსრ-ში იქნება ვაჭრობის სახალხო კომისარიატები, ხოლო სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში—ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან — ვაჭრობის განყოფილება. საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის ტექსტში ჩაწერილი იყო სიტყვები: „უზენაესი საბჭო", „უზენაესი სასამართლო" რადგან სიტყვა „უზენაესი" თანამედროვე მეტყველებაში მკვდარია და სიტყვის „უმაღლესი"-ს ცნებას ნათლად ვერ გამოხატავს, იგი შეიცვალა სიტყვით „უმაღლესი". ამრიგად, სესიის დადგენილების შემდეგ ყველგან იწერება არა „უზენაესი საბჭო" ან „უზენაესი სასამართლო", არამედ „უმაღლესი საბჭო", „უმაღლესი სასამართლო" და ა. შ.

დეპუტატებისათვის სადეკუტატო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს მუდმივი და მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს თავის ამომრჩევლებთან. ამ ურთიერთობის განხორციელებასთნ დაკავშირებით დეპუტატს ხშირად მოუხდება წასვლა ამომრჩევლებთან—კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილებში, სახელმწიფო—საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და სხვა. დეპუტატს აგრეთვე მოუხდება მიმოწერის წარმოება, ამომრჩეველთა მიღების ორგანიზაცია და სხვა. გარდა ამისა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ყოველთვის გაცნობილი უნდა იყოს ადგილობრივი და ცენტრალური ორგანიზაციების საქმიანობას; მას მოუხდება ჟურნალ-გაზეთების გამოწერა და სათანადო ლიტერატურის შეძენა. ყოველივე ეს გამოიწვევს ხარჯებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ ეს მხედველობაში მიიღო, საჭიროდ სცნო ამ ხარჯების ანაზღაურება, რა ღონისძიებაც მიზნად ისახავს ყოველმხრივ გაუადვილოს და ხელი შეუწყოს დეპუტატს მუდმივი, მჭიდრო, ცოცხალი ურთიერთობის განხორციელებაში თავის ამომრჩეველებთან.

ამის გარდა, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს სესიიდან სესიამდე მოუხდებათ მუდმივი და სისტემატური კავშირის დამყარება უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან, რაც, თავისთავად ცხადია, გამოიწვევს განსაკუთრებულ ხარჯებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ზემოაღნიშნულის გამო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ მიიღო „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები"-ს ამ ნომერში გამოქვეყნებული კანონი „დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

საინფორმაციო ცნობები

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

1938 წლის 12-14 ივლისს ქ. სოხუმში შესდგა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

სესია გახსნა უხუცესმა დეპუტატმა დიმიტრი იოსების-ძე **გულიამ**.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ანდრია მაქსიმეს-ძე **ჭოჭუა**. თავმჯდომარის მოადგილეებად—პარასკევა სილოვანის ასული **გრიგოლია** და გედევან ეფრემის-ძე **ხაჩატურიანი**.

სესიამ შექმნა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები—საკანონმდებლო განზრახულებათა და საბიუჯეტო.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, სცნო რა სწორად რწმუნებანი უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა, რომლებიც არჩეულნი არიან ყველა 104 საარჩევნო ოლქში და რეგისტრირებულნი არიან აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო დადგენილება ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კონსტიტუციის შემდეგ მუხლებში: 18 (პუნქტი „ბ" და „ვ"), 30, 44, 63 და 66.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს მიხეილ კონსტანტინეს-ძე **დელბა**, თავმჯდომარის მოადგილედ იასონ იაკობის-ძე **ზარანდია**, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად—მუშნი ლავრენტის-ძე **ხაშბა**, პრეზიდიუმის წევრებად—ევდოკია ვასილის ასული **ატრაშინა**, კირილე გიორგის-ძე **ბეჭვაია**, ნესტორ ასალოს-ძე **გიორგაძე**, დიმიტრი იოსების-ძე **გულია**, რომანო ბასას-ძე **გოგოხია**, სიმონ გიორგის-ძე **ზაკიანი**, ტატიანა იოსების ასული **კუკბაია**, კონსტანტინე სიმონის-ძე **ცაქვავა**.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა გააკრიტიკეს ცალკეული სახალხო კომისარიატების (ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი) მუშაობა.

უმაღლესმა საბჭომ შექმნა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მთავრობა—სახალხო კომისართა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—აქვსენტი ნარიქის-ძე **რაფავა**, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები—ივანე კონსტანტინეს-ძე **ტანია** და ილარიონ ნარიქის-ძე **ბჟანია**, სახელმწიფო-საგეგმო კომისიის თავმჯდომარე—ვასილ პახვალას-ძე **კალანდია**,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწათმოქმედების სახალხო კომისარი—ილარიონ ნარიქის-ძე **ბუჩანია**, ფინანსთა სახალხო კომისარი—თემურ ჰიჰინის-ძე **ბზანბა**, ვაჭრობის სახალხო კომისარი—პეტრე ზაქარიას-ძე **პრილიპკო**, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი—გრიგოლ ალექსის-ძე **ფაჩულია**, იუსტიციის სახალხო კომისარი—ვიქტორ ტიმოთეს-ძე **ბუჩანია**, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი—პლატონ გრიგოლის-ძე **აფშილავა**, განათლების სახალხო კომისარი—იასონ მაქსიმეს-ძე **დარსანია**, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი—პლატონ სიმონის-ძე **ჭკადუა**, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი—შამილ ხურშუტის-ძე **ავიძბა**, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი—პავლე პეტრეს-ძე **ქარბა**, საგზაო სამმართველოს უფროსი—ნიკანდრი ანთაგენის-ძე **ლაბაშია**, სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული—პეტრე ივანეს-ძე **სიდოროვი**, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი—გიორგი დიმიტრის-ძე **გულია**.

აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

1938 წლის 12-14 ივლისს ქ. ბათუმში შესდგა აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

სესია გახსნა უხუცესმა დეპუტატმა ბაშია მემედის-ძე **ბერიძემ**.

აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს იუსუფ მემიას-ძე **ქორიძაია**, თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნენ მარიამ ივანეს ასული **მახარაძე** და იუსუფ იაყუფის-ძე **შავაძე**.

სესიამ შექმნა აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები—საკანონმდებლო განზრახულებათა და საბიუჯეტო.

აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, სცნო რა სწორად რწმუნებანი უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა, რომლებიც არჩეულნი არიან ყველა 63 საარჩევნო ოლქში და რეგისტრირებულნი არიან აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო დადგენილება ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ აჭარის ასს რესპუბლიკის კონსტიტუციის 44, 63, 66 და სხვა მუხლებში, სსრ კავშირის კონსტიტუციის 70, 77 და 83 მუხლებისა და საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის 50, 55, 72, 103 და 104 მუხლების შეცვლის შესაბამისად.

აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს დაუთ ალის-ძე **დავითაძე**, თავმჯდომარის მოადგილეებად—ხატიჯე იბრაგიმის-ასული **კაკაბაძე** და მიხეილ პავლეს-ძე **ქილაძე**, აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად ნესტორ გიორგის-ძე **ახათიანი**, პრეზიდიუმის წევრებად—ალექსი ნიკოლოზის-ძე **საჯაია**, დავით ალექსანდრეს-ძე **კაპანაძე**, დიომიდე სევოდის-ძე **ხელაძე**, ვასილ ესტატეს-ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიმშელეიშვილი, ვალერიან თედორეს-ძე **მაძაცარია**, დავით ვარდენის-ძე **ღუმბაძე**, აიშე არიფის ასული **დათუნაიშვილი**, მიხეილ ალექსანდეს-ძე **ენშენი**.

აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა გააკრიტიკეს ცალკეული სახალხო კომისარიატების (სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის, განათლების სახალხო კომისარიატისა და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს) მუშაობა.

უმაღლესმა საბჭომ შეჰქმნა აჭარის ასს რესპუბლიკის მთავრობა—სახალხო კომისართა საბჭო შემდეგი შემადგენლობით: აჭარის ასს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—ისმაილ ხასანის-ძე **ფუტკარაძე**, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები—შუქრი ქემალის-ძე **შარაშიძე** და ეფრემ ნესტორის-ძე **ჯიძია**, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე—ეფრემ ნესტორის-ძე **ჯიძია**, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი—ვლადიმერ ძიკის-ძე **ზაქარაია**, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი—მურად მურადის-ძე **ბეჟანიძე**, მიწათმოქმედების სახალხო კომისარი—მამუდ ალის-ძე **გოგოლიშვილი**, ფინანსთა სახალხო კომისარი—ბექრი ხასანის-ძე **ხალვაში**, ვაჭრობის სახალხო კომისარი—სიმონ ვასილის-ძე **ლელაძე**, იუსტიციის სახალხო კომისარი—რეჯებ აზაბის-ძე **ჯინჯარაძე**, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი—მემედ ესედის-ძე **კოლბახიძე**, განათლების სახალხო კომისარი—ნადიმ იზეთის-ძე **ნიჯარაძე**, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი—ერასტი ეფრემის-ძე **ბახტაძე**, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი—ალისულთან მეხდაიოლის-ძე **ვანიძე**, დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული—ნოე ივანეს-ძე **ხაზარაძე**, კავშირგამბულობის სამმართველოს უფროსი—იოსებ თომას-ძე **ჩხიკვიშვილი**, საგზაო-სამმართველოს უფროსი—ისმაილ ხუსეინის-ძე **მოწყოლბილი**, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი—ვახტანგ კლიმენტის-ძე **ნებიერიძე**.

სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი, № 4;
მთავრობის სასახლე. ტელეფონი № 3-56-07

ფასი 40 კაპ.

დაკვეთა № 1208 საქ. სკს სტამბა — მთავლ. № 397 ტირაჟი 4.000

38 298